ქართული ანბანის სხვადასხვა მეთოდით დასწავლა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებში

გვანცა სოსელია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

გვანცა სოსელია

12.06.2017

მადლობა

მადლობა მოცემული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ ნატა მეფარიშვილს, სამაგისტრო სემინარის კურსის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო ჯავახიშვილს, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში მოსიარულე ბავშვების მშობლებს და ცენტრის ქცევით თერაპევტებს ჩატარებული კვლევის ხელშეწყობისთვის.

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის დარღვევას ხშირად თან ახლავს დასწავლის სითულეები. შესაბამისად, აუიზმის მქონე ბავშვებს სჭირდებათ სპეციფიკური მიდგომების შერჩევა, რომ შეძლონ სწრაფად, მოკლე დროში სასწავლო მასალის ათვისება. თავდაპირველ სირთულეს ენისა და მეტყველების განვითარებისას ვაწყდებით, თუმცა ამ ეტაპის წარმატებულად დაძლევის შემთხვევაში, როდესაც ბავში სასკოლო ასაკს უახლოვდება ხშირია აკადემიური უნარების პრობლემები. აუტიზმის სპექტრის დარღვეის მქონე ბავშვები განსაკუთრებულ ინტერესს ავლენენ ასოებისა და ციფრებისადმი. თუმცა იმ შემთხვევაში თუ ინტერესი ადრეულ ასაკშივე არ გამოვლინდა სასკოლო ასაკისთვის ვაწყდებით მოტივაციის დეფიციტს ასოებისა და ციფრების დასწავლისას.

ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაუმჯობესდა აუტიზმის დიაგნოსტირებისა და ინტერვენციის სერვისები, თუმცა მიუხედავად ამისა საქართველოში აუტიზმთან დაკავშირებით კვლევითი საქმიანობა ფაქტიურად არ ხორციელდება.

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშებს ეფექტური დასწავლისთვის სჭირდებათ ადრეული, ინდივიდუალური ინტერვენცია. სასკოლო ასაკისთვის კი აუცილებელი ხდება ასოებისა და ციფრების დასწავლა. ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა ქართული ანბანის დასწავლის პროცესისთვის ეფექტური მეთოდის გამოვლენას.

კვლევა ჩატარდა მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში. კვლევის მონაწილეები იყვნენ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები და თერაპევტები.კვლევაში სულ მონაწილეობას იღებდა 6 ბავშვი. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი იყო დიაგნოზი, ასაკი და სამეტყველო უნარები. სამეტყველო უნარების განვითარების დონე შეფასდა ვერბალური ქცევის ნიშან-სვეტების შეფასების პროგრამის(VB- MAPP) მიხედვით.

კვლევაში გამოყენებული იყო ექსპერიმენტის მეთოდი, კერძოდ კი ჯგუფთაშიდა დიზაინი. კვლევაში ჩართული ბავშვები თავიანთ თავზე გამოცდიდნენ ცვლადის 2 დონეს: ვიდეო მოდელირება და ცალკეული ბლოკებით სწავლება. ქართული ანბანის

ნახევარი (16 ბგერა) მიეწოდებოდათ ვიდეოს სახით, ხოლო დანარჩენ (17 ბგერას) დაისწავლიდნენ ცალკეული ბლოკების გამოყენებით.

შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება საერთაშორისო კვლევების დასკვნებს. კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვები უფრო სწრაფად სწავლობენ ბგერების დასახელებას ვიდეო ჩანაწერის გამოყენებით.

მოცემული კვლევის მთავარ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს მონაწლეთა მცირე რაოდენობა, რომელიც არ გვაძლევს მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას. რადგან არ იძლევა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტიზმი, ვიდეო მოდელირება, ცალკეული ბლოკებით სწავლება, დასახელება, ტაქტი